# მცირე შენიშვნა

*თემურ ცქიტიშვილი*
*სამართლის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი (თსუ), თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი*

2019 წელს ჩემი ავტორობით გამოიცა წიგნი „სასჯელი და მისი შეფარდება". აღნიშნული წიგნი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არჩევით საგნებში გამოიყენება დამხმარე და ძირითად მასალად. წიგნში მოცემულმა ზოგიერთმა დებულებამ მკითხველის კრიტიკა გამოიწვია. წიგნმა კრიტიკული გამოხმაურება ჰპოვა სახალხო დამცველის ოფისის მხრიდანაც, რომელიც უნივერსიტეტის რექტორის და იურიდიული ფაკულტეტის დეკანის სახელზე გამოგზავნილ წერილში აღნიშნავს, რომ წიგნში არსებული ჩანაწერები არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა განმარტების ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს და საგანმანათლებლო სფეროში აფერხებს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის რეალიზებას, ვერ უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების სფეროში სახელმწიფოს მიერ გაცხადებული მიზნების მიღწევას[1]. წერილში კრიტიკულად არის შეფასებული წიგნში მოცემული ხუთი ჩანაწერი, რომელზეც გვსურს გავაკეთოთ განმარტება, რაც მკითხველისთვის უფრო გასაგებს გახდის ავტორის პოზიციას და ხელს შეუწყობს იმის წარმოჩენას, თუ რამდენად საფუძვლიანია გამოთქმული კრიტიკა.

წიგნში მოცემული ერთ-ერთი ჩანაწერი, რომელიც კრიტიკული განხილვის საგანი გახდა, შემდეგი შინაარსისაა: „გაუპატიურების ერთ-ერთ ხელშემწყობ მიზეზად მიიჩნევა მსხვერპლის ისეთი მაპროვოცირებელი ქმედება, როგორიცაა პოტენციურ დამნაშავესთან ერთად ალკოჰოლური სასმელის დალევა ან ავტომანქანით გასეირნება. ის, რომ მსხვერპლი თავისი ქმედებით ქმნის გაუპატიურების მაპროვოცირებელ გარემოებას, შეიძლება გახდეს მსჯავრდებულისთვის სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოება"[2].

თუმცა, აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ წიგნში იმავე გვერდზე გვხვდება შემდეგი დებულება, რომელიც წარმოადგენს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით აზრის ლოგიკურ გაგრძელებას: „როდესაც საუბარია გაუპატიურების მაპროვოცირებელ მიზეზად მსხვერპლის პოტენციურ მოძალადესთან ერთად ალკოჰოლური სასმელის დალევაზე ან ა/მანქანით გასეირნებაზე, მხედველობაშია მისაღები სხვა გარემოებებიც, რომელშიც აღნიშნული მოქმედებები განხორციელდა. დასახელებული ქმედებები შეიძლება ყოველთვის არ განიხილებოდეს მაპროვოცირებელ გარემოებად"[3]. ვინაიდან აქ საქმე ეხება ერთსა და იმავე საკითხზე აზრის ლოგიკურ გაგრძელებას, მათი განმარტება უნდა მოხდეს არა ერთმანეთისგან მოწყვეტით, არამედ ერთიანად. ის, რომ დანაშაულს საფუძვლად შეიძლება ედოს პროვოკაცია მსხვერპლის მხრიდან, დიდი ხანია ცნობილია სისხლის სამართალში და კრი-

[1] საქართველოს სახალხო დამცველის წერილი თსუ-ს რექტორ გიორგი შერვაშიძის და ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკან თამარ ზარანდიას სახელზე #17-1/7981, 04/08/2022

[2] *ცქიტიშვილი თ.,* სასჯელი და მისი შეფარდება, თბ., 2019, გვ. 198.

[3] *ცქიტიშვილი თ.,* სასჯელი და მისი შეფარდება, თბ., 2019, გვ. 198.

მინოლოგიაში. ამ მხრივ გაუპატიურება არ წარმოადგენს გამონაკლისს. პირველ ჩანაწერში საუბარია იმაზე, რომ გაუპატიურების მაპროვოცირებელ გარემოებებად განიხილება გარკვეული სახის მოქმედებები და მითითებულია წყარო, სადაც აღნიშნული ქმედება პროვოკაციად არის შეფასებული. თუმცა, შემდეგ წიგნის ავტორი იმასაც მიუთითებს, რომ აღნიშნული ქმედებები სხვა გარემოებებთან ერთად შეიძლება განვიხილოთ მაპროვოცირებელ ქმედებად და არა ცალკე აღებული, სხვა გარემოებების გაუთვალისწინებლად.

გაუპატიურების პროვოცირება შეიძლება მოხდეს ისეთი ქმედებით, რომელიც არ ატარებს აკრძალულ, არანებადართულ ხასიათს. სახალხო დამცველის წერილში როგორც არის აღნიშნული, მანქანით გასეირნება და ალკოჰოლური სასმელის მიღება წარმოადგენს ნებადართულ ქმედებას, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგრამ როგორც განსახილველ წიგნში არის აღნიშნული, გაუპატიურების პროვოკაციად შეიძლება განვიხილოთ არა მხოლოდ ალკოჰოლური სასმელის მიღება ან მანქანით გასეირნება, არამედ აღნიშნული ქმედებები სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში[4]. ეს შეიძლება იყოს, მაპროვოცირებელი სუბიექტის ქცევა, რომელსაც კონკრეტულ შემთხვევაში პროვოცირებულის ფსიქიკაზე ზემოქმედების მოხდენა შეუძლია. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემო პირობები, რომელშიც დამნაშავე და მსხვერპლი აღმოჩნდნენ, ასევე მათ შორის მანამდე არსებული ურთიერთობა და მსხვერპლის წინარე ქცევები. წიგნში მოცემული მსჯელობა გამორიცხავს გაუპატიურების პროვოცირებისთვის მხოლოდ დამნაშავესთან ალკოჰოლური სასმელის მიღების ან მანქანით გასეირნების მიჩნევას.

პროვოკაციას თუ მაპროვოცირებელ ქმედებას რომ ადგილი შეიძლება ჰქონდეს სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებასთან დაკავშირებით, ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიშველიოთ აუცილებელი მოგერიების პროვოკაცია, როცა ადგილი აქვს თავდასხმის, აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის პროვოცირებას. აღნიშნულ საკითხზე სისხლის სამართლის ლიტერატურაში არსებობს მთელი რიგი თეორიები, შეხედულებები[5]. განხილვის საგანს წარმოადგენს როგორც პროვოკატორის, თავდამცველის უფლება აუცილებელ მოგერიებაზე, ისე ის, თუ რა სახის ქმედება შეიძლება ჩაითვალოს პროვოკაციად. ავტორთა ერთი ნაწილი აუცილებელი მოგერიების პროვოკაციად მიიჩნევს არა მხოლოდ ისეთ ქმედებას, რომელიც არღვევს სხვის (პროვოცირებულის) უფლებას (თუნდაც სიტყვიერი შეურაცხყოფის სახით), არამედ ისეთსაც, რომლის განხორციელებაც ადამიანის უფლებას წარმოადგენს (მაგალითად, სეირნობა ღამის საათებში, ისეთ ადგილას, სადაც გარკვეული გარემოებების გამო თავდასხმა მოსალოდნელია). მაშინ, როდესაც საქმე ეხება აუცილებელი მოგერიების პროვოცირებას, ვთვლი, რომ პროვოკაციად უნდა ჩაითვალოს არა ნებისმიერი ქმედება, არამედ ისეთი, რომელიც პროვოცირებულის უფლებებს ლახავს და სცდება ჩვეულებრივი, ნებადართული ქმედების ფარგლებს. საკითხის ასეთი გადაწყვეტა იმიტომ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, რომ ვემხრობით იმ შეხედულებას, რომელიც პასუხისმგებლობას აკისრებს არა მხოლოდ პროვოცირებულ თავდამსხმელს, რომელსაც თავის მხრივ, ევალება, რომ არ წამოეგოს პროვოკატორის ანკესს, არამედ პროვოკატორსაც, რომელსაც არ უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა რომ პროვოკაციული ქმედებით მიაღწიოს მისთვის არასასრუველი ადამიანის თავიდან მოცილების

[4] ალკოჰოლური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბრალეულად განხორციელებისას სასჯელის შემსუბუქების საფუძველზე მიუთითებენ მაშინაც, როცა მოქმედ პირს არ ჰქონდა იმის განჭვრეტის შესაძლებლობა, რომ აღნიშნული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ძალადობით დანაშაულს განახორციელებდა. თუ პირი თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე მოკლებული არ იყო ამის განჭვრეტის შესაძლებლობას, ვინაიდან ალკოჰოლური ნივთიერების მიღებისას ჰქონდა მიდრეკილება ძალადობითი ქმედებისკენ, სასჯელის შემსუბუქების საფუძველი გამოირიცხება.

[5] *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 369-377.

მიზანს და შემდგომ გაითავისუფლოს თავი პასუხისმგებლობისგან[6]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პროვოკაცია პროვოკატორისთვის არ უნდა იქცეს მისთვის მიუღებელი ადამიანის მზაკვრულად, სასჯელის გარეშე, თავიდან მოცილების შესაძლებლობად.

ის რომ გაუპატიურების და აუცილებელი მოგერიების მაპროვოცირებელი გარემოებები და კრიტერიუმები არ არის თანმხვედრი და არის განსხვავებული, გამომდინარეობს თვით გაუპატიურების, როგორც ერთ-ერთი სქესობრივი დანაშაულის ბუნებიდან. ვინაიდან გაუპატიურების დროს საქმე ეხება სქესობრივ დანაშაულს, რაც ზოგჯერ მჭიდრო კავშირშია ადამიანის ფსიქიკასთან, გაუპატიურების მაპროვოცირებელი გარემოებების შეფასებისას მხედველობაში მიიღება ის გარემოებები, რამაც შეიძლება ადამიანის ფსიქიკაზე იმგვარი ასახვა ჰპოვოს, რომ შეიძინოს გაუპატიურების მაპროვოცირებელი გარემოების მნიშვნელობა. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ გაუპატიურების პროვოცირება განხილვის საგანს წარმოადგენს, არა როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხავი, არამედ როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება.

წიგნში მოცემული მორიგი ჩანაწერი, რომელიც იქცა კრიტიკული განხილვის საგნად, შემდეგი შინაარსისაა: „სამართლის ფუნქცია არ არის ადამიანის ცხოვრების წესის განსაზღვრა. მაშასადამე, გაუპატიურების დროს სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოება შეიძლება იყოს არა მსხვერპლის ცხოვრების წესი, რომ იგი მსუბუქი ყოფაქცევისაა, არამედ მსხვერპლის წინარე (მაგალითად, პროვოკაციული) ქმედება"[7]. მოცემული დებულება შეუძლებელია ჩაითვალოს დისკრიმინაციულად, პირიქით, აქ საუბარია იმაზე, რომ პროვოკაციად და შესაბამისად, შემამსუბუქებელ გარემოებად არ უნდა მივიჩნიოთ მსხვერპლის ცხოვრების წესი.

სახალხო დამცველის წერილში პრობლემურად არის მიჩნეული შემდეგი ჩანაწერიც: „სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ის, რომ გაუპატიურების მსხვერპლი პროსტიტუციაშია ჩართული და მსუბუქი ყოფაქცევის ქალია"[8]. სახალხო დამცველს მიზანშეუწონლად და დისკრიმინაციულად მიაჩნია წიგნში ტერმინის „მსუბუქი ყოფაქცევა" გამოყენება და აღნიშნულია, რომ ავტორიტეტულ წყაროებში გამოიყენება ტერმინი „სექსმუშაკი". აღნიშნული ტერმინი არ არის ქართულ კანონმდებლობაში თუ ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინი. გარდა ამისა, აღნიშნული ტერმინი არის ვიწრო შინაარსის და არ მოიცავს ადამიანთა ყველა იმ კატეგორიას, რომელიც ნაშრომში არის ნაგულისხმები. „სექსმუშაკი" გულისხმობს მხოლოდ იმ პირს, რომელიც ანაზღაურებით ეწევა სექსუალურ მომსახურებას. აღნიშნულ ტერმინთან დაკავშირებით ასევე ჩნდება კითხვა, თუ რამდენად აქვს მის გამოყენებას ლეგიტიმური, სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან „სექსმუშაკი" გულისხმობს პირს, რომელიც ანაზღაურებით ეწევა სქესობრივ მომსახურებას, მაგრამ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა კრძალავს ისეთი დაწესებულების არსებობას, სადაც იქნებიან ასეთი პირები დასაქმებული[9]. თუმცა, აქვე უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ აღნიშნული ტერმინი გვხვდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში[10].

მეოთხე ჩანაწერი, რომელიც კრიტიკულად არის განხილული სახალხო დამცველის წერილში, შემდეგ შინაარსს მოიცავს: „გაუპატიურების შემთხვევაში სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად განიხილავენ დამნაშავესა და მსხვერპლს შორის ადრე არსებულ სქესობრივ კავშირს,

---

6 *ცქიტიშვილი თ.*, აუცილებელი მოგერიება, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოება, წიგნში: ფერაძე გ., (რედ.), სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები,წიგნი II, თბ., 2012, გვ. 628-633.

7 *ცქიტიშვილი თ.,* სასჯელი და მისი შეფარდება, თბ., 2019, გვ. 232.

8 *ცქიტიშვილი თ.,* სასჯელი და მისი შეფარდება, თბ., 2019, გვ. 232.

9 აღნიშნული მოსაზრება გამოითქვა (პროფ. მ. ტურავას მიერ) თსუ-ს სისხლის სამართლის მიმართულების თანამშრომელთა სხდომაზე, სადაც განხილვის საგანს წარმოადგენდა სახალხო დამცველის სარეკომენდაციო წერილი.

10 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე #300ა3-18.

ვინაიდან ასეთ დროს ხელყოფა შედარებით უფრო მსუბუქად აღიქმება, რაც სასჯელის შემცირების გამართლების საფუძველია. **თუმცა, ესეც ცალკეულ გარემოებებზეა დამოკიდებული.** თუ დამნაშავე და მსხვერპლი გაცილებულები იყვნენ და ერთად არ ცხოვრობდნენ, მაშინ ადრე არსებული სქესობრივი კავშირი ვერ იქნება შემამსუბუქებელ გარემოებად გათვალისწინებული"[11].

აღნიშნული ჩანაწერი მანამდეც იქცა კრიტიკული გამოხმაურების საფუძვლად. კრიტიკის ავტორი, ი. კელენჯერიძე მიუთითებს: „ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე პრაქტიკაში მსგავსი მიდგომა არ არსებობს და მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის ადრე არსებული სქესობრივი კავშირი არ მიიჩნევა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად. პირიქით, განქორწინებული მეუღლე (თუნდაც ყოფილიყო არარეგისტრირებულ ქორწინებაში) წარმოადგენს ოჯახის წევრს საქართველოს სსკ-ის მე-11[1] მუხლის მიზნებისთვის, მის მიმართ სქესობრივი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში კი გათვალისწინებულია სასჯელის დამძიმება სსკ-ის 53[1]-ე მუხლის შესაბამისად"[12].

წიგნში მოცემულ, კრიტიკის საგნად ქცეულ წინადადებაში, როდესაც საუბარია მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის არსებულ ურთიერთობაზე, არ იგულისხმება არც იურიდიული და არც ფაქტობრივი ქორწინება ქალსა და მამაკაცს შორის, ვინაიდან წინამდებარე სიტყვების ავტორისთვისაც კარგად არის ცნობილი, რომ ასეთ შემთხვევაში ადგილი ექნება ოჯახში ჩადენილ დანაშაულს, რაც მოქმედი ქართული სსკ-ით სასჯელის დამამძიმებელ გარემოებადაა გათვალისწინებული (მე-11[1] და 53[1]-ე მუხ.) და რის შესახებაც ინფორმაცია მკითხველს განსახილველ წიგნში შეუძლია მოიპოვოს[13]. ავტორს მხედველობაში აქვს პარტნიორული ურთიერთობა, რაც სცდება (თუნდაც არაიურიდიული, ფაქტობრივი ცოლქმრული ურთიერთობის თვალსაზრისით) ოჯახის ცნებას. გარდა ამისა, წიგნში საუბარია იმაზეც, რომ სასჯელის შემსუბუქება გამოირიცხება, თუ მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის ურთიერთობა გაწყვეტილი იყო. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ წიგნში დამნაშავესა და მსხვერპლს შორის ურთიერთობის არსებობა არ არის მიჩნეული სასჯელის შემცირებისთვის საკმარის საფუძვლად და საუბარია იმაზე, რომ **სასჯელის შემსუბუქება ცალკეულ გარემოებებზეა დამოკიდებული.**

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის 36-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სექსუალური ძალადობა და მათ შორის გაუპატიურება დასჯადი უნდა იყოს ყოფილი მეუღლის ან ამჟამინდელი მეუღლეების ან პარტნიორების მიმართ, რაც ლოგიკურია და არავინ არ ხდის საკამათოდ. აღნიშნულ პირთა მიმართ გაუპატიურების განხორციელება ქართული კანონმდებლობითაც არის დასჯადი. ამავე კონვენციის 46-ე მუხლი უშვებს პასუხისმგებლობის დამძიმების შესაძლებლობას, თუ დანაშაული ჩადენილი იყო ყოფილი ან ამჟამინდელი მეუღლის ან პარტნიორის მიმართ, ოჯახის წევრის მიერ, მსხვერპლთან ერთად მცხოვრები პირის მიერ ან პირის მიერ, რომელმაც ბოროტად გამოიყენა თავისი ძალაუფლება[14]. თუმცა, ქართული სსკ-ის არცერთი ნორმა არ აწესებს იმის ვალდებულებას, რომ აღნიშნული დანაშაულისთვის დამამძიმებელ გარემოებად იქნას გათვალისწინებული ის, რომ დანაშაულის მსხვერპლი დამნაშავის პარტნიორს წარმოადგენდა. უნდა აღინიშნოს, რომ დამამძიმებელ გარემოებებთან დაკავშირებით კონვენციის 46-ე მუხლს ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებით აქვს სარეკომენდაციო ხასიათი. ის რომ დამნაშავესა და მსხვერპლს შორის დანაშაულის

[11] *ცქიტიშვილი თ.,* სასჯელი და მისი შეფარდება, თბ., 2019, გვ. 232.

[12] *კელენჯერიძე ი.*, წიგნში: გეგელია თ., კელენჯერიძე ი., ჯიშკარიანი ბ., სქესობრივი დანაშაულები, თბ., 2020, გვ. 157.

[13] *ცქიტიშვილი თ.,* სასჯელი და მისი შეფარდება, თბ., 2019, გვ. 258.

[14] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/document/view/3789678?publication=0

ჩადენის დროს არსებობდა პარტნიორული ურთიერთობა და მოქმედი პირი იმყოფებოდა განსაკუთრებულ ფსიქოემოციურ მდგომარეობაში, ყოველთვის არ გულისხმობს იმას, რომ დამნაშავემ „ბოროტად გამოიყენა თავისი ძალაუფლება".

როდესაც წიგნში საუბარია გაუპატიურების დროს სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად დამნაშავესა და მსხვერპლს შორის არსებულ ურთიერთობაზე, მხედველობაში აქვს ის ფსიქოლოგიური მომენტები, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს ასეთ პარტნიორულ ურთიერთობას და თანაცხოვრებას. თავისთავად გამოირიცხება სასჯელის შემსუბუქების შესაძლებლობა, როცა დანაშაულის ჩადენას საფუძვლად უდევს შურისძიების მოტივი, რაც, ზოგადად, გაუპატიურებისთვის არ არის ტიპური. დანაშაულის ჩადენის მოტივს რომ არ ჰქონდეს მნიშვნელობა, არც ის იქნებოდა გასათვალისწინებელი, ჰქონდათ თუ არა დამნაშავეს და მსხვერპლს გაწყვეტილი ურთიერთობა. შესაბამისად, არ არის გასაზიარებელი კრიტიკის ავტორის მოსაზრება, რომ თითქოს, წიგნში მოცემული ჩანაწერის მიხედვით იქმნება სასჯელის შემსუბუქების შესაძლებლობა შურისძიების მოტივის დროსაც[15]. შურისძიების მოტივი ცალსახად დამამძიმებელ გარემოებას არ წარმოადგენს, მაგრამ არც შემამსუბუქებელ გარემოებად არ მიიჩნევა.

როგორც უკვე აღინიშნა, გაუპატიურება არის თავისი ბუნებით გამორჩეული დანაშაული, რაც მოითხოვს დანაშაულის ჩადენის დროს დამნაშავის ფსიქიკური მდგომარეობის და დანაშაულის ჩადენაზე მისი შესაძლო ზემოქმედების გათვალისწინებას სასჯელის შეფარდების დროს. ამასთან ერთად, წიგნში საუბარია სასჯელის შესაძლო შემსუბუქებაზე და არა პასუხისმგებლობის გამორიცხვაზე დამნაშავესა და მსხვერპლს შორის არსებული ურთიერთობის გათვალისწინებით. მოქმედი პირის ფსიქიკური მდგომარეობა, ზოგადად, შერაცხადობის თუ შეზღუდული შერაცხადობის თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია ყველა დანაშაულთან მიმართებით, მაგრამ გაუპატიურების, როგორც სქესობრივი დანაშაულის ჩადენისას, შეიძლება ვლინდებოდეს მოქმედი პირის ისეთი ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც არ გამორიცხავს შერაცხადობას, მაგრამ აქვს მნიშვნელობა სასჯელის შემსუბუქების კუთხით. თუმცა, ასეთი მდგომარეობა ყოველთვის ეფუძნება გარკვეულ გარემოებებს.

ფსიქოლოგიაში აღიარებულია, რომ ისეთი ინტენსივობის ემოცია, როგორიც ვნებაა, ადამიანზე ძლიერ ზეგავლენას ახდენს. იგი არ წარმოადგენს მხოლოდ ემოციურ მდგომარეობას. ადამიანის ქცევაზე გავლენის თვალსაზრისით იგი აფექტს უახლოვდება, მაგრამ თავისი ხანიერებით განსხვავდება აფექტისგან. თუ აფექტი ხანმოკლე ემოციაა, ვნება ყველაზე უფრო ხანიერ და მტკიცე ემოციურ სწრაფვად განიხილება. ვნების სიმტკიცე ადამიანის ინდივიდუალობაზეა დამოკიდებული[16].

რაც მეტად მნიშვნელოვანია, გარემოება, რომელზეც საუბარია კრიტიკულად შეფასებულ ჩანაწერში, გერმანულენოვან ლიტერატურაშიც არის მიჩნეული გაუპატიურების დროს გასათვალისწინებელ ფაქტორად და წიგნში შესაბამისი წყაროც არის მითითებული. გაუპატიურების დროს დამნაშავესა და მსხვერპლს შორის არსებული ურთიერთობა და დამნაშავის ფსიქიკაზე მისი შესაძლო ზეგავლენა რომ გასათვალისწინებელი გარემოებაა, ამის დასასაბუთებლად შეიძლება დასახელდეს ის გარემოებაც, რომ მსგავსი ტიპის ურთიერთობა და შემდგომ პარტნიორებს შორის ურთიერთობაში წარუმატებლობა ფსიქიკური აშლილობის თუ თვითმკვლელობის მიზეზადაც ქცეულა. თუმცა, ბუნებრივია, ეს ვერ იქნება მიჩნეული გაუპატიურების გამამართლებელ გარემოებად, არამედ აქ საუბარია სასჯელის დანიშვნის დროს გასათვალისწინებელ გარემოებაზე. წიგნის ავტორი კარგად აცნობიერებს იმ გარემოებას, რომ გაუპატიურების შემადგენლობით გა-

[15] *კელენჯერიძე ი.*, წიგნში: გეგელია თ., კელენჯერიძე ი., ჯიშკარიანი ბ., სქესობრივი დანაშაულები, თბ., 2020, გვ. 157.

[16] *ნათაძე რ.,* ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1986, გვ. 522-524.

თვალისწინებული ერთ-ერთი ხერხის გამოყენებით, ადამიანის ნების საწინააღმდეგოდ, მასთან სქესობრივი კავშირი გაუპატიურებას წარმოადგენს (137-ე მუხ.), მიუხედავად იმისა, საქმე ეხება ცოლ-ქმარს შორის თუ პარტნიორებს შორის სქესობრივ კავშირს. ეს საკითხი არც შეიძლება იწვევდეს კამათს.

საერთაშორისოსამართლებრივი აქტი, რომელიც მიზნად ისახავს ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციას (ე. წ. სტამბულის კონვენცია), არა მხოლოდ ოჯახში, არამედ ასევე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგაც იბრძვის, თუმცა, ქართული კანონმდებლობით სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად განისაზღვრა ოჯახში ძალადობა, დანაშაულის ჩადენა გენდერის, გენდერული იდენტობის ან სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის გამო და სხვა. წიგნში მოცემული ჩანაწერი კი, რომელიც იქცა კრიტიკული შეფასების საფუძვლად, არ იძლევა დასახელებულ გარემოებათა მოაზრების შესაძლებლობას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად გაუპატიურების დროს როგორც დამნაშავეს, ისე მსხვერპლს შეიძლება წარმოადგენდეს ერთი და იმავე სქესის პირი (მაგალითად, მამრობითი სქესის). გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ძალადობა, დანაშაულის ჩადენა ოჯახის წევრის მიმართ პასუხისმგებლობის დამამძიმებელი (მაკვალიფიცირებელი) გარემოებაა, არ შეიძლება სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში არ იქნას მიღებული ოჯახის თუ რომელი წევრის მიმართ იქნა დანაშაული ჩადენილი. ცოლის ან ქმრის მიმართ იძულებით სქესობრივი აქტის განხორციელებასთან შედარებით სამართლებრივ-მორალური თვალსაზრისით შეიძლება უფრო მეტად გასაკიცხ სახეს იძენდეს იგივე ქმედება ოჯახის სხვა წევრის მიმართ. მართალია, ორივე შემთხვევაში სახეზეა ძალადობითი დანაშაული და პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება, მაგრამ გასაკიცხაობის ხარისხი არის განსხვავებული, რაც მხედველობაში მიიღება კანონით განსაზღვრული სანქციის ფარგლებში.

გაუპატიურება თავისი არსით ძალადობითი დანაშაულია და ის ასეთ ხასიათს ინარჩუნებს მაშინაც, როცა სახეზე არ არის დამამძიმებელი გარემოებები. იმის გამო, რომ გაუპატიურება ძალადობითი დანაშაულია, არ შეიძლება არ ჰქონდეს შემამსუბუქებელი გარემოებები. შემამსუბუქებელი გარემოებები რომ ძალადობით დანაშაულსაც შეიძლება ჰქონდეს, ამის დასტურია შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის შემადგენლობები (110-114-ე მუხლები). თუმცა, შემამსუბუქებელი გარემოებები ყველა ტიპის ძალადობით დანაშაულთან მიმართებით არ არის იდენტური და განსხვავებულია თვით დანაშაულის ბუნების გათვალისწინებით. ის რაც მკვლელობის დროს არის შემამსუბუქებელი გარემოება, შეიძლება შემამსუბუქებელ გარემოებას არ წარმოადგენდეს გაუპატიურებისთვის და პირიქით, გაუპატიურების დროს შემამსუბუქებელ გარემოებად განიხილებოდეს ისეთი გარემოება, რაც მკვლელობის დროს ასეთ ფუნქციას ვერ შეასრულებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლიტერატურაში სასჯელის შეფარდებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელ გარემოებებს ორ ჯგუფად ყოფენ: პირველი, რომელიც მეტნაკლებად ყველა დანაშაულს ახასიათებს და მეორე, რომელსაც მხოლოდ ცალკეული სახის დანაშაულის ჩადენისას შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

უნდა აღინიშნოს, რომ წიგნში საკითხები განხილულია შესაბამის წყაროებზე მითითებით. თუმცა, ციტირებული ნაშრომებიდან ბრმად, გაუაზრებლად და მექანიკურად არცერთი დებულება არ არის გადმოტანილი. უცხოური თუ ქართული წყაროებიდან მოშველიებული დებულებები ასევე გამყარებულია ავტორისეული არგუმენტებითაც, მაგრამ როგორც ზემოთ მოცემული მსჯელობა ცხადყოფს, წიგნში მოტანილი და კრიტიკული შეფასების საგნად ქცეული არცერთი ჩანაწერი, თუ მას ყურადღებით გავაანალიზებთ, არ იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ საკითხის გადაწყვეტისას საქმე გვაქვს დისკრიმინაციულ მიდგომასთან.

მიუხედავად იმისა, რომ მონოგრაფიაში ადგილი არ აქვს ისეთ მსჯელობას, რაც აკნინებს ადამიანის უფლებებს, სახალხო დამცველის რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნება იმ თვალსაზრისით, რომ ცალკეული საკითხები მონოგრაფიის მომდევნო გამოცემაში უფრო

ვრცლად იქნება განხილული, იმისთვის, რომ გამოირიცხოს ბუნდოვანება და მკითხველს მეტი ინფორმაცია მიეწოდოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციაზე.

დაბოლოს, კრიტიკის ავტორებს მსურს მადლობა გადავუხადო კრიტიკული შენიშვნებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკულ მოსაზრებას სრულად არ ვიზიარებ. მადლობის თქმის საფუძველს მაძლევს ის, რომ გამოთქმულმა შენიშვნებმა მომცა შესაძლებლობა კიდევ ერთხელ კრიტიკული თვალით წამეკითხა და შემეფასებინა განსახილველი მონოგრაფია.